

## პრესრელიზი

### იუნისეფისა და მსოფლიო ბანკის განცხადებით საქართველოში არსებული სოციალური დაცვის სისტემები ყველაზე მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებებზე მეტად უნდა იყოს მიმართული

თბილისი, 2014 წლის 4 დეკემბერი. სიღარიბის შემცირების მხრივ არსებული პრობლემები და შესაბამისი სტრატეგიები იქნა განხილული იუნისეფისა და მსოფლიო ბანკის მიერ ორგანიზებულ კონფერენციაზე - „საერთო კეთილდღეობის სოციალური დაცვის ძლიერი სისტემის მეშვეობით მხარდაჭერა“, რომელიც თბილისში 1 დეკემბერს გაიმართა.

*„საქართველოში სოციალური დახმარებების ზრდა მოხდა, თუმცა, სიღარიბის ზღვარს მიღმა მცხოვრებ ბავშვთა წილი მაინც გაიზარდა. ამიტომ იუნისეფი მთავრობას სოციალური დაცვის სისტემის რეფორმირებაში უწევს დახმარებას, რომელშიც მოწყვლადი ბავშვებისთვის დახმარებების შემოღებაც იგულისხმება,“ განაცხადა UNICEF-ის წარმომადგენელმა საქართველოში საშა გრაუმანმა.*

*„საქართველოში სიღარიბე ზოგიერთი ოჯახის მუდმივი პრობლემაა. მაშინ, როცა ზოგიერთი სხვა ოჯახისთვის ეს დროებითი, თუმცა, რთული მოვლენა შეიძლება იყოს. ეს შესაძლოა სამსახურის დაკარგვით ან ოჯახში მთავარი შემომტანის ავადმყოფობით იყოს გამოწვეული. სოციალური დაცვის სისტემა ორივე ამ კატეგორიის ოჯახების საჭიროებებზე უნდა იყოს გათვლილი,“ განაცხადა მსოფლიო ბანკის რეგიონულმა დირექტორმა სამხრეთ კავკასიაში, ჰენრი კერალიმ.*

კონფერენციის მიმდინარეობისას გაკეთდა განცხადებები იმის შესახებ რომ უნისეფი და მსოფლიო ბანკი გააგრძელებენ საქართველოს მთავრობისა და სხვა დაინტერესებული მხარეების მხარდაჭერას ფისკალურად მდგრადი სოციალური დაცვის სისტემების ჩამოყალიბებაში. ამის მიღწევა შემდეგი ზომების გატარების გზით არის შესაძლებელი:

- **ქრონიკულად ღარიბთა და, ასევე, სიღარიბეში მცხოვრებ ბავშვთა დაცვა.** სოციალური დაცვის სისტემა ქრონიკულ სიღარიბეში მცხოვრებთათვის დახმარების გაწევაზეა ორიენტირებული. ბოლოდროინდელი ძალისხმევა, რომელიც მეთოდოლოგიის გაუმჯობესებაზე და დახმარების გაფართოებაზეა მიმართული, მისასაღმებელია. თუმცა, ღარიბ ოჯახებში მცხოვრებ ბავშვთა წილი უფრო მაღალია, ვიდრე სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მცხოვრები მოსახლეობის მთლიანი წილი. ამჟამინდელი სოციალური დაცვის სისტემა მათ სრულად მოცვას ვერ ახერხებს, ამიტომ საჭიროა დამატებითი და კარგად სტრუქტურირებული სარგებლის გამოყოფა, რათა ღარიბმა ოჯახებმა ბავშვებით სიღარიბეს დააღწიონ თავი.
- **იმ ოჯახთა სიღარიბისგან დაცვა, რომლებსაც გარკვეული ეკონომიკური და სხვა სახის რყევების განცდა უწევთ.** მართალია, მიზნობრივი სოციალური დახმარება ქრონიკულად ღარიბ მოსახლეობაზეა გათვლილი, იგი პოტენციურად მოწყვლადი მოსახლეობის ნახევარზე მეტს ვერ ფარავს. აუცილებელია, რომ აღნიშნულმა დახმარებამ მოწყვლადი ოჯახები მოიცვას, რათა სხვადასხვა რყევებს (მაგალითად უმუშევრობას ან ავადმყოფობას) დროულად

გაუმკლავდნენ. განსაკუთრებით მოწყვლად ჯგუფად ახალგაზრდობა ითვლება, რადგან ისინი შრომის ბაზარზე შედიან და, ამავე დროს, საკუთარ ოჯახებს ქმნიან. აღნიშნულ ჯგუფში უმუშევრობის მაღალი მაჩვენებლები ფიქსირდება იმ დროს, როდესაც მათ შვილები უჩნდებათ, რასაც მათი გადარიბების გამოწვევა შეუძლია.

- **ეკონომიკური დამოუკიდებლობის ხელშეწყობა მოწყვლადი ოჯახებისთვის საკუთარ მომავალში ინვესტირების საშუალების მიცემით, რაც მათ შემოსავლის წყაროებს გააუმჯობესებს.** დაცვისა და პრევენციის გარდა სოციალური დაცვის სისტემამ მოწყვლად ოჯახებს დახმარებაუკეთესი შემოსავლის წყაროების მოძებნის მეშვეობითაც უნდა გაუწიოს. ეს, ასევე, გულისხმობს იმას, რომ სოციალური დაცვის სისტემამ დასაქმების და ეკონომიკური დამოუკიდებლობის მომცემი სხვა საშუალებების წარმატებით უზრუნველყოფა მოახდინოს.

აღნიშნულ კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს მთავრობის, საერთაშორისო ორგანიზაციების და კვლევითი დაწესებულებების წარმომადგენლებმა, რომლებიც სიღარიბის შემცირებასთან და საქართველოს მოსახლეობის ყველაზე მოწყვლადი ნაწილის სოციალურ დაცვასთან დაკავშირებულ უმნიშვნელოვანეს საკითხებზე მუშაობენ.

\*\*\*

იუნისეფის მიერ საქართველოში განხორციელებული საქმიანობის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად გთხოვთ ეწვიოთ:

[www.unicef.ge](http://www.unicef.ge),

<https://www.facebook.com/unicefgeorgia>

საქართველოში მსოფლიო ბანკის საქმიანობის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად გთხოვთ ეწვიოთ:

[www.worldbank.org.ge](http://www.worldbank.org.ge)

<https://www.facebook.com/WorldBankEuropeCentralAsia>

## საკონტაქტო პირები

**იუნისეფი:** მაია ქურციკიძე

Tel.: (995 32) 223 23 88

[mkurtsikidze@unicef.org](mailto:mkurtsikidze@unicef.org)

**მსოფლიო ბანკი:** ინგა პაიჭაძე

Tel.: (99532) 291 30 96

[ipaichadze@worldbank.org](mailto:ipaichadze@worldbank.org)